N 1349 18/10/2019

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე ზაგაშვილს

ამავე მუნიციპალიტეტის

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე

ზედამხედველობის სამსახურის

უფროსის დიმიტრი შიოლაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 30 მაისს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიასა და ი.მ „გიორგი ხულელიძეს“ შორის დაიდო N51 ხელშეკრულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. არშაში დასასვენებლი სკვერის მოწყობის სამუშაოები.

N51 ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ი.მ გიორგი ხულელიძე რამდენიმეჯერ გაფრთხილებულ იქნა სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რაზედაც 2019 წლის 14 აგვისტოს ეცნობა N3473 წერილი, რომ ფიქსირდებოდა ვადაგადაცილება და სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევა, რაც არ იქნა გათვალისწინებული ი.მ გიორგი ხულელიძის მიერ.

აღნიშნულთან დაკავშირებით 2019 წლის 10 სექტემბერს N 3787 წერილით განმეორებით ეცნობა და დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%, ოდენობით 674,63 ლარი, რაც გადახდილ იქნა ი.მ გიორგი ხულელიძის მიერ.

ვინაიდან ი.მ გიორგი ხულელიძემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ამ ეტაპზე ხელშეკრულების მოქმედების ვადაც ამოწურულია, გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება.

მიმაჩნია, რომ სამუშაოების დროულად განხორციელების მიზნით (ჩვენს მუნიციპალიტეტში კლიმატური პირობების გათვალისწინებით) ხელშეკრულების გაფორმება მოხდეს სხვა მიმწოდებელთან.

გთხოვთ, არ იხელმძღვანელოთ N 1343 მოხსენებითი ბარათით.

პატივისცემით,

დიმიტრი შიოლაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი